

სამსახური

№ 30. -საღამური
ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

ქრონიკული
ზიზლიროთქა

17
1914

მ მ ა ვ ლ ი ს ს კ ო ლ ა.

სახალხო განათლების მინისტრმა ახალი განკარგულება გამოსცა, რომლის ძალით სკოლებში ბავშვებს სამხედრო ხელოვნებაც



ლოცვაძე

ბავშვთა
საქონლის
სამსახური



ახალი სკოლა.

(სახუმარო ამბავი).

მაკრინეს ნატერა
დღეს უკვე ახლა:
იმისი ვაჟი
შვიდი წლის გახდა!
ხუთი წელია
ქმარი მოუკლეს,
მაკრინეს ოჯახს
დარჩა მხოლოდ ეს...
ეს ერთი ბურჯი
და შემნახველი...
დათიკო გახლავთ
მისი სახელი.
მკვირცხლი, მალხაზი,
დაუდეგარი,
მთელი დღე დაჰქრის
ვით ნიაფ-ქარი...
ოჯახს აცოცხლებს
და აფერადებს,
დედას უქარვებს
ნადველს და დარდებს.

დღეს მეთექვრ
არის სკოლაში,
გამოიცადა
ხელი ბრძოლაში,
და იი „სწავლით“
დანატვირთავი
გამოჩნდა მისი
ლამაზი თავი.
სწრაფათ გააღო
ეზოს კარები
და შიმშილისგან
ანაჩქარები
შეიქრა სახლში
როგორც შურდული
ის გულ ზვიადი
და გაბედული.
— გათავდა, შვილო,
კაკვეთილები?
— დიახ! „ტაკ-ტოჩნო!“
— მართას შვილები
არ წამოსულან,
თუ იქ დატოვეს?
— დიახ, „ტაკ-ტოჩნო!“
ვანოს და ნოეს
დაუგვიანდათ
„ნაუჩინიე“
და კიდევ მისცეს
„ნაუჩინიე“.

— შენ ხომ დროზედვე
გამოეცხადე?

— დიახ, „ტაკ-ტოჩნო“,
ყველაზე ადრე.

— რა ამბავია

სულ ეგ „ტაკ-ტოჩნო“,

მოდის, გენაცვა,

ერთი ჩავბროშნო.

მეტი რუსული

ვერ დაიხსომე?

— „ნიკაკ ნეტ, მამა!“

საქმელი რომე,

თორემ აღარ მაქ

ამდენი ვადა,

მივალ „უროკის“

დასასწავლადა.

უცებ შეყლაბა

პური და ყველი,

(ღვინოსაც აღარ

დააგლო ხელი)!

და გამოვარდა

ეზოში კვალათ

სავარჯიშოთა

და განსასწავლათ.

უცებ მოაძრო

თოხისა ტარი,

და ვით დიდი ხნის

მხედართ-მთავარი

მოახტა „ლურჯას“

და გააქროლა

მოაჯირგალა

ხავერდის მოლა.

— დათიკო, შვილო,

რას შეგები ამას?

რისთვის ჩქაროდი

საქმელის კამას?

სათამაშო დრო

სადა გაქვს, ნენა,

ჯერ გაიწაფე

კითხვაში ენა.

— რას ამბობ, დედი,

შენი ქირიმე,

შენა გკონია

ვთამაშობდი მე?

ცხენოსნობაში

ვიწაფებოდი,

ხან ძირს, ხან მალლა


მისთვის ვხტებოდი.

მინისტრებისგან

არის ბძანება,

უნდა ვიცოდეთ

ახლის ტარება.



დიდი ძალაა კავალერია,
თუ მამულს მტერი
შემოერია.

— რას ამბობ, ბიჭო,
რის კავალერი
სიტყვა ისწავლე
ორიოდ ღერი...

— აი მიყურე:..
სროლა მიზანში!
თუ მოხვდეს იმ გოქს
აგი ქვა თავში.

(გამოუმიზნა,
უსწორა თვალი,
ესროლა, მოხვდა...

გოქი საწყალი
იქვე დაეცა
თავ-რეტ დასხმული...
დათიკოს შიშით
გაუსკდა გული).

— აგი რა ქენი
შე სასიკვდილევ,
ჯანსა და ღონეს
ამაში ილევ?

იგია შენი გაკვეთილები,
რომ ჩამტვრიო

გოქებს კბილები?
ოი დაგლახვროს
მოწყალე ღმერთმა,
კინალამ მოკლა
გოქი ამ მხეცმა.

— მე რომ მიწყრები
ჩემი ბრალია?
მეტი ჯერ არა
დამისწავლია.

— აგია სწავლა
შე საძაგელო,
რომ გოქი მოკლა,
ბალახი თელო?!

— სხვაიც კი ვიცი
რაც იქ მასწავლეს...
კითხე თუ გინდა
«უჩიტელ» პავლეს.

„მარშიროვები“
«ჩესტის» მიცემა,
ოპ, რანაირი
იციან ცემა,

თუ ცოტა რამე
რიგზე ვერ ქენი!!!
კინალამ მოკლეს
მართას ეგვენი!


— ბიჭო, რას ანბობ,

სკოლაში რისთვის
დაეხეტები?
ვინ არის სული
რომ წაიწყმინდა?

„მაშიროვები“
რა შეაქვთ მინდა!

— ახლა, დედილო,
სხვაფერი დროა:
ჩვენი სკოლები
სულ სამხედროა.

საომრათ გვზრდიან
და გვასწავლიან,
წიგნებისათვის
ვილას სცალიან.



ქართული
ენების ინსტიტუტი

ეშმაკი.

ორი კაცი ერთ არსებაში.

(ამბავი მამა ვოსტორგოვის შესახებ)

გაზეთის თანამშრომელთან მუშაულის
დროს (ბავშვთა გახრწნის შესახებ) მამა
ვოსტორგოვი განაცხადა: თქვენ არ
უნდა აზროთ ერთმანეთში უწინდელი
ივანე ივანეს ძე ვოსტორგოვი და დღე-
ვანდელი იოანე იოანეს ძე ვოსტორგო-
ვიო“.

— რაშია საქმე? — შეეკითხა ექიმი ავთანყოფს
და ექვიანათ ათვალეირ-ჩაათვალეირა იგი.
ავთანყოფმა მძიმეთ ამოიოხრა.

უბედურება თუ გნებავთ, ესაა! პიროვნება
გამიორკვეცდა მძიმე სახით. ჩემს არსებაში, ბ-ნო
ექიმო, ამ ჯამათ ორი ადამიანი ზის; გაგიკვირდათ!
ღმერთმანი, ორათ ორი! მართალია მოძღვარმა არ
უნდა მოიღოს სახელი უფლისა ამოასა ზედა, მაგ-
რამ აქ იფიცებს არა ეს, არამედ ის. ის საზიზლა-
რი ივანე ივანეს ძე ვოსტორგოვი ახსენებს ღვთის
სახელს.

— მომიტმინეთ, მომიტმინეთ, საქიროა საქმე-
ში გავერკვეთ.. როგორაო? რამდენი კაცი ზის
ამ ჯამათ თქვენს არსებაში?

— ორი, მხოლოდ ორი ცალი, ბ-ნო ექიმო,
ანუ ერთი წყვილი!..

— ჰმ! გასაოცარია! როგორა გრძნობთ მერ-
მე თავსა?

— რასაკვირველია სხვა და სხვა გვართ ბ-ნო
ექიმო! აი მაგალითად, როცა მე ვხედავ თქვენს
ოქროს სათუთუნეს, ან როცა ვუჭკვრეტ თქვენს
მომხიბლავ მოსამსახურე ქალს, მაშინ თავს გიჟმაჟ
ივანე ივანეს ძეთა ვგრძნობ, ხოლო როცა მათ
თვალს მოვაშორებ, კვალად ღმობიერ და სათნო
იოანე იოანეს ძეთ ვიქცევი ხოლმე.

ექიმმა სწრაფათ წამოუსვა ხელი ოქროს სათუ-

ათისაკენ მიპყრობილი, მსწრაფლ შეიკრა ტანისა-
მოსის ღილები და ძვირფას ბეჭდიანი ხელი, სი-
ფრთხილის გულისათვის, ჯიბეში ჩაიყო. შემდგომად
ამისა განავრძო:

— მაშ ეგრე, გავარკვიოთ საგანი! აბა მი-
ბრძანეთ რაიმე ამ ორი ერთ არსების შესახებ.

— ინებეთ... დავიწყოთ ივანე ივანეს-ძე ვო-
სტორგოვისაგან. უწინარეს ყოვლისა, მოძღვრის
მოვალეობა მიძღვრებს მოვასხენოთ, ბ-ნო ექიმო,
რომ ივანე ივანეს ძე ძლიერ ურიგო კაცია. უფრთ-
ხილდით მას, ბ-ნო ექიმო! მტაცებელი, გარყვნილი
და ანგარებით აღსავსე პიროვნებაა, ბ-ნო ექიმო,
ეს ივანე ივანეს-ძე. სწორეთ ის იყო ბ-ნო ექიმო,
რომ ერთხელ გაფლანგა სკოლის ფულები, გახრწნა
მცირეწლოვანი მოსწავლე ბავშვები და შეაგინა ხა-
ტება უფლისა. მე ისე ვამბობ, თორემ ვიცი წაკი-
თხული და გაგებული გექნებათ. მე, იოანე იოანეს-
ძემ. მაშინვე ვუთხარი მას: „ხატებთან რაღა გინდა
ივანე ივანეს-ძევ, ეს არ არის კარგი საქმე მეთქი“.
— „შენ შენს ქერქში დაეტიე ქოფაკო ძაღლო, რო-
ცა საქმის არაფერი გესმისო“ ასე. აი ამ სიტყვებით
მიპასუხა!..

— თქვენ რაღა უპასუხეთ ამაზე? — შეეკითხა
ექიმი.

— მე... საჩივრელათ ხომ ვერ წავიდო-
დი?! მოვითმინე, მეტი თა ბ... თათბი ერთი
შეურაცხყოფა.

— მოძღვარისა და მწყემსი მამა იოანეს შეი ახებ
რას გვეტყვი?

ავათმყოფი თითქო გამოცოცხლდა.

— ო ო ო, ის, ბ-ნო ექიმო ქეშმარიტათ
უანგარო, წმინდა პიროვნებაა. მშვიდი, ღმობიერი,
ერთ ურიგო სიტყვას არ იტყვის. მე დარწმუნებუ-
ლი ვარ, რომ მას აუცილებელი სამოთხე მოეღის,
თუ რომ ამ საზიზღარ, გაქუტულ ივანე ივანეს-ძემ
არ წაუხდის საქმე.

ექიმი დააქკერდა ავათმყოფსა და შეეკითხა:

— აბა... რომელი ამათგანი უფრო ძლიერია?...
ჰო, ნუ ყოყმობთ, თქვით? ნუ გეშინიათ, თქვენ
ხომ ექიმის წინაშე დგებართ... ეს ჩემთვის აუცი-
ლებელი საჭიროებაა! აბა!

ავათმყოფს შერცხვა და თვალები დაუშო.

— აბა, რაღას მაყოვნებთ? რომელი უფრო
ძლიერია?

— ივანე ივანეს-ძე!

— აჰაა! ჰმ! საქმე სერიოზული ყოფილა!
ექიმი მძიმეთ ჩაფიქრდა.

* * *

განის კარიდან, ოთახში ექიმის პატარა ქალი
შემოცქირიალდა.

— მამილო! სენ ტელეფონთან გილევკავენ.

თვალებით დააქკერდა და გასცინა:

— „სენ ტელეფონთან გილევკავენ!“ აი შე
პატარა კუდიანო, შენა! აბა, მოდი ძიასთან ახლოს,
ნუ გეშინია! ეს რა გაქვს ყელზე, ა? ლენტი? ნუ
გეშინია... ხე... ხე... ხე! აი სულელი!!

ბავშვი ატირდა. ექიმი დაბრუნდა მეორე ოთა-
ხიდან და გაოცდა:..

— ეგ რაღა საზიზღრობაა?! როგორ არა
გრცხვენიათ, ბატონო, უსუსური ბავშვის შეურაცხ-
ყოფა?! გადი, შეილო, აქედან, დედასთან წადი..

ავათმყოფმა დარცხვენითა დახარა ნაკურთხი
თავი და ხელები ჩაიქნია.

— სულ ის არის, ის საზიზღარი ივანე ივა-
ნეს-ძე აი ამ წამში ველაპარაკებოდი: „სირცხვი-
ლია, ცოდვაა ივანე ივანეს-ძევ, რასა შევბი მაგას
მეთქი“ იმან კი ურცხვათ მიპასუხა: „ხმა ჩაიკმინ-
დე, შენი საქმე არ არის. ბებერო ქოფაკო“. რო-
გორ მოგწონთ, ა? ეს მე მითხრა, მე, მოძღვარსა
და მწყემსს!..

— კარგი, მაგრამ მოძღვარს რა ჯანაბისათვის
სძინავს და სიტყვას არ უბრუნებს?

— ის სუსტია, სათუთია, ბ-ნო ექიმო! მაგრამ
გარწმუნებთ, ჩემო ძვირფასო, რომ ბავშვებს ეპყრო
ბა როგორც მამა, სრულიად უანგარო განზრახვით
აი, ფაქრობს ის, მწყემსი კეთილი, რომ ბავშვებ
ყვავილია ცხოვრებისა... უფლის, თავს ევლება მათ
რა ქალი, ის ტურფა, ღირსეული მოქალაქენი. პატ-
დამ მზრუნველობა, მუდამ თვალყურის დევნას ექ-
რება. პაწაწინა ხელები, წითელი, ფუნჩულა ტ-
ჩები.. მის პატარა, ლამაზ ფეხს რო დაინახავ.
ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! მოძღვარმა დავიწ-
და ივანე ივანეს-ძეზე არ გადაველ! ოჰ, რა საზ-
ზღარი ვინმეა ეს ივანე ივანეს-ძე!

— დიახ... უნდა გამოგიტყდეთ, ბ-ნო ჩემ
რომ თქვენი ავათმყოფობა არც ისე სახუმაროა!
მოითხ-ვის ხანგრძლივისა და ერთგულ ექიმობას; აგრ-
თვე ცხოვრების პირობათა გამოცვლას. ეხლავე
მოგიწერთ საჭირო წამალს.

ექიმმა დასწვრა ქალადის ნაგლეჯზე რა
დენიმე სიტყვა და გადასცა ავათმყოფს. იმან რ
კითხა და შეჰყვირა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ეს რასა ხედავს
თვალები: „ჩაისვას ხუთიოდ წლით საპყრობილევ
ეს რა ამბავია, ბ-ნო ექიმო?!

ექიმმა მხრები აიჩეჩა.

— რა ვქნათ, ეგ ერთათ ერთი წამალია
სწეულებათაგან: უშიშარი და უებარი.

— არა... რუსეთში ეს წამალი ვერ მიშვი
ბ-ნო ექიმო.

— რატომ?

— იმეორად, რომ არ არის არც ერთი აფთია-
ნი, საიდანაც ამ წამლის შოვნა შეიძლებოდა. ხე-
დავთ, სხვებისათვის რამდენი აფთიაქია და ჩემთვის
ი ერთი არა.

— როგორ თუ არ არის?

— არ არის და არა! სულელებს, ვუყვარვარ
ლიერ.

ავათყოფი ადგა, პირჯვარი გადაიწერა, თვა-
ლი უქნა კედელზე მიკიდულ სურათს ექიმის მეულ-
ისას და სტოლზე თუმნიანი ქაღალდი დასდო

— აი, სახიერი მოძღვარი გაძლევთ რჩევა-და-
თვლებისათვის, მაგრამ ოქროს მოყვარე ივანემა
წრათათ იკრა ჯიბეში თუმნიანი და გავიდა. დე-
თენიდან მსახური ქალას კვილი მოისმა.

თიმა აპისკინი.

„სატირიკონი“

შატარა ინტერვიუ.

— დიხ, ეშმაკისაგან გვაქვს მონდობილობა
არიოდე შეკითხვა მოგცეთ მათი ბრწყინვალეების
ოსებ ევგენის-ძე თავადი ვაჩნაძის წერილის შესა-
ებ.

გოთუა პართენი ცოტათი შეკრთა, ცხვირის
ესტოთა განაპირა მოხაზულობა ოდნავ შეუთამაშ-
ა, ყურების ბიბილონი წითელ დროშასავით აენ-
ენ და მთელი სახის გამომეტყველება თაღ-
ობის ეშხით დაოშაძლ-
მარტო უკ არის?

მორცხვი კილოთი, როგორიც სჩვევია *) სა-
დადოთ „ნოვია რეის“ რედაქტორს, იკითხა
რთენ გოთუამ.

— განა ერთი რედაქციისთვის ცოტაა ამოდე-
სისულელე? ოჰ, რა ხარბები ხართ ეგ გაპარუ-
ებული ქართველები!

— არ ვიცი სწორეთ რაში სჩანს ჩვენი სი-
აბე!

კვალად უმანკო კილოთი წაჩმოსთქვა ყო-
ლმა დრამატურგმა.

— ცუდი არაფერი იფიქროთ, სრულიადაც ახ-
ი არა მაქვს თქვენი შეურაცხყოფა. მე მოგახსენ-
თ სენსაციების სიხარბეზე და სხვას არაფერს.
ონდ ათი ნომერი მეტი გაიყიდოს და სად გო-
ას სარედაქციო გოდორში მიმალავთ.

— წერილი ბ-ნი ვაჩნაძისა გაუსწორებელია...

— წერილი კი არ არის გაუსწორებელი, არა-
თქვენა და თქვენი რედაქცია ბრძანდებით გაუ-
რებელი. ყველაფერს გაასწორებს ადამიანი, მა-
თქვენ კუხს თვით სამარეც ვერაფერს დააქ-
ს.

— მავკირებს, ლქერთმანი, თქვენი ასეთი სა-
სტიკი კილო...

— მეც გამიკვირდებოდა თქვენი ასეთი სიხა-
რბე, რომ არ ვიცნობდე თქვენს ბუნებურად გულ-
ულრეკელ მისწრაფებას სენსაციებისადმი, რაკ უკუ-
ღმართი შემთხვევით ვაზეთის ხელმძღვანელი გახ-
დით, ნუ თუ ფეხებიც შიგ უნდა ჩაყოთ? ეგ სირ-
ცხვილია, ბ-ნო რედაქტორო, სირცხვილი.

— მაშ არ უნდა დაგვებეჭდა დასჯილი ადა-
მიანის წერილი?

— გვესმის თქვენი დასჯილთა მოსარჩლეობა,
რომელიც ორი აბაზის მოგების სურვილით არის
გამოწვეული!

— ის ხომ მსხვერპლია ბ-ნი მდივნისა; აი თუ
გსურთ მოისმინეთ რასა სწერს ბ-ნი ვაჩნაძე: „დაე
მე ვიყო მსხვერპლი“), მსხვერპლი სხვათა ცოდვე-
ბის გამოსასყიდათ! მშობლებო, ყური ათხოვეთ და
დაეხმარეთ საზოგადო საქმეს, ვიდრე გვიანი არ
არის“. განა ამის შემდეგ გვეთქმოდა რამე?

— ამის შემდეგ თუ არ გეთქმოდათ, ნუ თუ
დაბეჭდვის შემდეგ ბედავთ კიდევ ლაპარაკს? ყო-
ფილი მოსწავლე, რომელმაც მასწავლებელს ასეთი
შეურაცხყოფა მიაყენა, ერთი სიტყვითაც არ ინა-
ნიებს თავის ნამოქმედარს, კიდევაც ამართლებს მას
და თქვენ კი, სენსაციების მოყვარულო, საჯარო
გამოგაქვთ ასეთი ჩუშმარტი-თავადური მოსაზრებე-
ბი.

— რაებს მიკითხავთ რომ არ ვიცი? განა მე
არ მახსოვს ჩემი გუშინდელი თავ-გადასავალი? თუ
კი ჩემი შეურაცხყოფით ერთ კვირესა და მეტსაც
აჯახირეს ვაზეთები, დიდი საქმეა მდივანის შეურაც-
ხყოფაზედაც დაიწეროს რამე? თქვენ ერთს ამბობთ
სიმართლეს: მაშინ გულში კიდევაც მიხაროდა,
რომ ისეთ საქმეს გადამიკიდა გიგომ. ჯერ ერთი
ისა, რომ ქვეყანამ ჩემზე დაიწყო ლაპარაკი, ხოლო
მეორე და უმთავრესი, ვაზეთის ტირაჟმა იმატა.
ჩვენი ვაზეთი სწორეთ იმ დღიდან დადგა ფეხზე.

— მაშ ერთი ორი ისეთი სიამოვნება რომ შე-
გემთხვეთ, „ლისტოკის“ ოჯახს თავდაღმა დააქ-
ცვეთ.

— მაგრამ მარტო ესეც არა გვაქვს მხედვე-
ლობაში. ვაჩნაძის წერილი უმთავრესად ბ-ნი ბრან-
დის წერილის დასასურათებლათ მოვითავსეთ.

— ნუ თუ ბ-ნი ბრანდის ნაბრანდავის დასასა-
ბუთებლათ კიდევ ვაჩნაძის ბრანდვა იყო საქირო?

— თქვენთან არავითარი საბუთი აღარ საბუ-
თობს...

*) ეს რაღაც განსაკუთრებული სახეა მსხვერპლისა! მას-
წავლებელს ყბა კინაღამ მოამტვრია და თავის თავს მსხვერპლს
ეძახის. ქართულ გიმნაზიაში იქნებ ასე ესმით მსხვერპლის
შეწირვა.

— იმას რიდათი ასაბუთებთ, რომ წერილი არ გაგისწორებიათ?

— ნუ თუ ამაზედაც საბუთია სხჭირო? თქვე დალოცვილო; მოკვდი ამდენი სწორებით! რედაქციაში ისეთი ხალხი მყავს, რომ ყველას სწორება და გადასწორება სჭირია. ეს „ბრანდო“, ეს „დუმეციო“, ეს „ნიგოცსკიო“, ეს „ტ-ძე“ და სხვ. ცენზორობის დროს არ მიწევდა ამდენი სწორება სტილისა და აზრისა ..

მე გჯლიანათ გამეცინა და ვაპატიე ბ-ნ გოთუას ყოველივე დანაშაული.

უარყუბა.

ღმერთო მალ-რსე!

ლაჟვარდსა ცაზე ვარსკლავთ კრებანი მკრთალის ნათელით ოღნავ კრთებიან, და დილის სხივით შენაფრქვევ ცაზე ფერსა ჰკარგავენ, ნელ-ნელ ჰქრებიან.

ცაზე აწვდილნი მთანი მალაღნი ძილს თავს აღწევენ იზმორებიან, ზედ გაწოლილნი ნისლთ ქარავენნი იპენტებიან, ცრემლათ ღნებიან.

აგერა კიდევ აღმოსავლეთი განთიადისა სხივით განათდა და ცეცხლის ეტლით მნათობთ-მნათობი ამოკისკასდა, ამოლაჟღავდა.

საკინძე გახსნილ ბაღნარ წალკოტმა თეჟა აშალა ნეტარებითა და მოიქარგა კიდით-კიდემდე სურნელოვანი ყვავილებითა.

ტყე აშრიალდა სიოს მობერვით, ტბა აქანავდა ხშირ ლერწმოვანი ცისა სივრცეში ლალ ფრთოსნებისა გაისმა ჰანგი ტებილ ცისკროვანი.

შვებისა შვილმაც ნეტარებისა ქება მიუძღვნა ალაშს დილისას და დაეწაფა ნექტრის ნაკადულს წალკოტის ნამცვრევ წილ შლილისას.

მხოლოთ მაშვრალთა ნაოხარ მხარეს კვალათ ეხურა სევდის მანდილი. ღმერთო, მალრსე! იმ ნეტარ დროსა მათაც გაჰკრთოდეს მტანჯავი ძილი.

თურღალ პირელი.

საუკუნადლები სობები.

ბასასწორებაელი რაზმი. როგორც ბათუმიდან გვატყობინენ, იქ უკვე შესდგოვიან აწმყო და ნამყო ბოქაულთაგან გასასწორებელი რაზმის შედგენას. სამსახურის ვადა აღნიშნულ რაზმში ყველა-

სათვის ერთგვარი არ იქნება: ვინც მეტ უნარს გამოიჩენს ბოქაულობის დროს, მას ზედმეტი ხნით დასტოვებენ. აღნიშნულ რაზმში უკვე ჩარიცხულა ცნობილი „იაშა ბოქაული“, ანუ უკეთესობათა ლანჩხუთის მეფარნე ნაბოქაულარი (და არა ნაბუქადონოსორი) მიქიაშვილი. როგორც ამბობენ ის დაჰყოფს ამ „გასასწორებელ“ რაზმში ხუთიოდე წელიწადს. სხვა ბოქაულები, როგორც ყოფილნი, აგრეთვე აწმობოქაულენი, მოუთქნელათ მოვლიან თავიანთ რიგს.


ჰაერში ზრენა. ფრინველთა მიზაძვა რომ მოდაში შემოვიდა, ამას, ვგონებ, ბევრი ლაპარაკი არ სჭირია, მაგრამ ჩვენში ამის მსგავსი ჯერ არაფერი გვინახავს. მხოლოდ ამ დღეებში და ისიც თავად-აზნაურთა განსაკუთრებული კომისიის მეოხებით, ქართული გიმნაზიის ეზოდან აფრინდა რამოდენიმე მოსამსახურე პირი. საფრენი მანქანა ყველას საკუთარი სისტემისა აქვს. სამწუხაროთ, ზოგიერთ უსაქმო და უაზრო პირთაგან აყენებული ქარი, ხელს უშლის ავიატორთა მშვიდობიანათ ჩამოშვებას და ჯერაც არ იცას საზოგადოებამ რა ბედი ეწია იმათ მოგზაურობას. გიმნაზიის მოსწავლე ახალგაზრდობა მუშტ-აპყრობილი ელის მათ შეხვედრას.

მართველი მსცილოპედისტნი ვინ არ იცის, რომ მოიხილავათ „ბატისა და წეროს“ იგავისა, ბევრი საქმის ხელის მოკიდეთა და მოსწავლეთა შორი ცოდნის ჩაბლაუჭება ჩინებული რამეა. ივანე როსტომაშვილი ჩვენში უკვე ცნობილია;

- ა) როგორც საუკეთესო პედაგოგი,
- ბ) როგორც საუკეთესო რედაქტორი,
- გ) როგორც საუცხოვო მწერალი,
- დ) როგორც უებარი ექიმი,
- ე) როგორც დიდი ოკუშორი,
- ვ) როგორც ჩინებული აგრონომი,
- ზ) როგორც დახელოვნებული „საორსულო მეკაე“,
- თ) როგორც ასეთივე „საქარწილო მეკასე“,
- ი) როგორც ასეთივე „სამარხი მეკასე“,
- კ) როგორც ერთგული არქეოლოგი,
- ლ) როგორც უდიდესი ასტრონომი,
- მ) როგორც უბადლო ასტროლოგი,
- ნ) როგორც უწარჩინებულესი ქართველი და სხვა მრავალი. ერთი სიტყვით ზემოხსენებულ „ბატს“ მან ბევრით გაუსწრო წინ და მის ცოდნათა ჩამოსათვლელათ ქართული ალფავიტიც ცოტა იქნება.

აი ამ მოღვაწეს დაუწერია ახალ-ახალი წიგნები და დაურჩებია თფილისის რედაქციებში. ჯერ-ჯერობით დაუბეჭდია მხოლოდ ოთხი წიგნი:

- ა) პირუტყვთა მოვლა-მოშენება (ზოოლოგია)
- ბ) თესვა ბალახ-ბულახი „ალავერდასი“ (აგრონომია)



გ) ბინის საკითხი (სოციოლოგია)

დ) ორსულობა, მშობიარეობა და ახალშობილ-
თა მოვლა-მოშენება (მედიცინა).

როგორც გავიგეთ, დანარჩენი დარგებიდან
უკვე დაუწერია ორ-ორ, სამ-სამი წიგნაკი და
დაბეჭდვისათნავე გაუზავნის თფილისის რედაქ-
ციებს რეცენზიებისათვის.

ბ-ნი როსტომიშვილი ივანე ჯერ სულ ახალ-
გაზრდა კაცია და შემდეგში მისგან მეტს უნდა
მოველოდეთ, ვიდრე ტიტე ართმელაძისაგან.

(თუ გაიგებს, ბ-ნ გ. ახალციხელის საკუთრადღებოთ.)

„ვერ ვქამე მარხვა დოსთვინა,
ქურდობა ვერ ვქენ ხბოსთვინა“
ხალხ. ანდაზა.

ამ ანდაზას რო არ გავეჩერებოთ, იქნებ ჩვენც
ასე აღარ გავგწყრომოდა „სახალხო გაზეთის“ მქა-
დაგებელი ბ ნი გ. ახალციხელი. ჩვენი უბედურობა
სწორეთ აი აქ არის ჩამარხული, რომ „მარხვა ვერ
გავტყვით დოსთვინა და ქურდობა ვერ ვქენით
ხბოსთვინა“.

იმ პატარა სახუმარო წერილში, რომელსაც
ასე გაუბრაზებია პატივცემული გ. ახალციხელი,
ჩვენ სრულიადაც არ გამოგვიყვია მისი „უანგარო
და მაღალი ზნეობის მქადაგებელი“ პიროვნება იმ
ვარსკვლავთ კრებულიდან, რომლის „აღფა ომე-
გა“ გოთუა და ტყავაძე არიან ჩვენ შევეხეთ მთელს
რედაქციას, რომელსაც ჩვეულებათ გადაქცევა
ავთმყოფი ყოყოჩობა და მედიდურათ ხელის წამო-
კვრა ის წერილი, უადგილობის გამო, ორი კვირით
დაგვიანდა და ჩვენ რომ გ. ახალციხელის „დოს-
თვინ“ ყურადღება მიგვექცია და მისი „ხბო*“) და-
გვემაღა, ის წერილი სულაც აღარ უნდა დაგვე-
ბეჭდა. ვინც „ნოვია რეჩს“ კითხულობს**), იმას
გეთავაზა და ხბოც. ისე თავაზიანათ მოიხსენია ჩვე-
ნი რედაქციის წევრის მიერ წარდგენილი ლექსი.
აქ არ მოგვეყავს არც დო და არც ხბო ბ. ახალცი-
ხელისა იმიტომ, რომ გვეშინია თავის ქებათ არ
ჩამოგვართვან მკითხველებმა. ჩვენ კი ჩინებულათ
ვიციტ ფასი ბ. ახალციხელის როგორც დომბალისა,
აგრეთვე ხბოსი, ანუ უკეთ ვსთქვათ, როგორც ქე-
ბისა, ისე გინებისა და დაე იცოდეს მან, რომ „მა-
თრახის რედაქციის“ თანამშრომელნი უფრო მად-
ლიერნი იქნებიან, როცა მისგან მხოლოდ ლან-
ძღვას მოისმენენ:

„არა გვეწამს რა დიაცისა,
არცა მოწმენდილი ცისა“,
არც ახალციხურ კაცისა.

გ. ახალციხელი ჩვენს ჟურნალს ზნეობას უკი-
ჟინებს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებიდან და
უკიჟინებდა ვგონებ... ნეტარ ხსენებულნი „ნიშადუ-
რიდანაც“. გესმით მკითხველნო, სად, რომელ ტაძა-
რში შეისწავლა ჩვენზე ეგზომ განრისხებულმა პუბ-
ლიცისტმა ზნეობის კანონები? ის შევირდია გუ-
ნიას სკოლისა და მოციქული ჰარ. გოთუას მო-

დ ე ზ ე მ ე ბ ი .

(ჩანსე ძის საკეტო)

ზიძაურა. გაზ. „საქმეში“ № 4 მოთავსებულ-
ლი ცნობა, ვითომც ჭიქაურაში „მოწინავე“ მო-
მუშავენი იყვნენ — სიმართლეს მოკლებულია. აქაური
მუშეები როგორც განვითარებით, აგრეთვე უზნეო
მოქმედებით უკან სდგანან სხვა მუშეებზე, რასაც
მრავალი ფაქტებით დაამტკიცებენ, საქიროების
დროს. ამიტომ, როგორც გადმოგვცეს, აღნიშნული
მუშეები სამართალში აძლევენ გაზ. „საქმის“ კო-
რესპონდენტს, ცილის-წამებისთვის.

იქიდანვე. ამ დღეებში მოხდა ჭიქაურის კარ-
ტოჟნიკთა ჩემპიონების პირველი გაჯიბრება. გაღმა
ჭიქაურის ჩემპიონმა, ბ. ლ. აორაოლოძემ
ჭიქაურის სოფელში, სოფელში „გამოღმა ჭიქაურის“
ჩემპიონს, ლაზარეს.

იქიდანვე. ოგანეზოვის შავი ქვის სარეცხი
ქარხნის ადმინისტრაციამ, სამუშაო დრო 10 საა-
თამდე ასწია. შემდეგისათვის განზრახვა აქვთ, სა-
მუშაო დრო ოცდათექვსმეტ საათამდე ასწიონ,
მაგრამ ვინაიდან დღე და ღამეში ამ ყამათ ოცდა-
ოთხი საათის მეტი არ არის — განზრახულია, დიქი-
რაონ ორი გამოცდილი „ტორმუზიკი“, რომლე-
ბიც „დაატორმუზებენ“ დედამიწას, რომ ოცდა-
ოთხი საათის მაგიერ ოცდათექვსმეტი საათი მოან-
დომოს გადაბრუნებას. თუ ასეთი „ტორმუზიკები“
იშოვნენ — საქმე გაიჩარხება.

ჭიათურა. ადგილობრივ სახალხო უნივერსი-
ტეტის გამგეობას კიდევ ღრმა ძილით სძინავს. სა-
ზოგადოებისგან გადადებულია 3,000 მ. პრემია,
ვინც ისეთ „პრეპარატს“ გამოიგონებს, რომ გამ-
გეობა გააღვიძოს.

იქიდანვე. ჭიათურის მცხოვრებლებმა დაად-
გინეს, ააშენონ შუაგულ ბაზარში ოთხამდე ეკლე-
სია, რათა დაცულ იქნან ცეცხლისაგან...

იქიდანვე. ადგილობრივმა მოწინავე ინტელი-
გენციამ უდალატა თავის მოვალეობას, ამიტომ
უკანასკნელმაც მათ სამაგიერო გადაუხადა.

* იგულისხმეთ მისი რეცენზია 4 ენკენისთვის საღამოს
გამო.

** ჩვენ გვეგონა „სახალხო გაზეთის“ რედაქცია, რო-
გორც ახლო ჭირისუფალი გოთუა — ტყავაძე — ახალციხელი-
სა, თვალყურს ადევნებდა „ახალი სიტყვის“ კარაბადინს.

ძღვრებისა. ახლა მოდი და ესოდენ ღრმად გაზნე-
ობრივებული მამა გახალციხელი ნუ დაიწყებს თანა-
შრომელთა ჩვენთა ზნეობრივ განსწავლას.

ახირებული კი ყოფილა მინც ეს დალოცვი-
ლი მისიონერი „სახალხო გაზეთისა“. ჩასციებია
ნინოშვილს და ლამის ამოგვაშხამოს იმისი ერთი
მოთხრობის გადათარგმნა. ეგნატე ნინოშვილს ასეთი
„პატივი“ ტიტე ართმელაძემაც კი სცა და თავისი
„გენიოსური“ ნაწარმოების გასაღება ეგნატეს სა-
ხელით შოისურდა. ამისა გამო კიდევაც მიიღო შე-
საფერი ჯილდო, ვისგანაც ჯერ იყო.

მაშ რაზე მოსდის გული ბ-ნ ახალციხელს?
ალბათ იმაზე, რომ ჩვენს ქურნალში ვერ თანამ-
შრომლობენ ისეთი ბუმბერაზები, როგორც გოგო-
ლი, მარკ ტვენნი, ჩეხოვი და სხ. იყენენ, ან ისეთი
პუბლიცისტი მორალისტები, როგორც თვით ბ-ნი
გ. ახალციხელი და მისი ამჟამად-დამყოფი ბრძან-
დებიან. ახირებული პრეტენზიაა თქვენმა მშემ! ჩვენს
თანამშრომლებს არასოდეს არ განუზრახავთ ახტომა
იმას ზევით, სადამდინაც შეძლიათ და გარწმუნებთ,
თქვენც, ბ-ნო გ. ახალციხელო ტყვილათ აიტყენთ
ფეხებს

დასასრულ მოგახსენებთ, რომ სრულიად უმი-
ზნობით აკიანურებთ ამბავს თქვენი რეცენზიის შე-
სახებ, რადგან ბევრმა იცის, რომ ის წერილი თქვენს
რეცენზიაზე ერთი კვირით ადრე იყო დაწერილი.
იქნებ თქვენ ისი გინდათ აცნობოთ ხალხს, რომ
რეცენზიების წერა შეგიძლიათ?

ჩვენი გულწრფელი სურვილია განაგრძოთ
თქვენი მოღვაწეობა, მაგრამ არა იმ იარაღით, რომ-
ლითაც აგრე ეწვალებით, არამედ იმით, რომელსაც
არიგებენ „მათრახის“ იმ ნომრის ბოლო გვერდზე,
რომელშიაც თქვენი გამაცხარებელი წერილია მო-
თავსებული.

ყარყუმი.

ბიბლიოგრაფია.

(„დონისა“ და „თანის“ ბრძოლა).

ჩვენს მკითხველებს, ასე თუ ისე, ანუ ცოტათ
თუ ბევრათ („დონისტურად“ ცოტად თუ ბევრად).
გაეგებათ საქმის ვითარება და მისი მიპდინარეობის
მიდრეკილება. ახლა უმჯობესია ვალაპარაკოთ ახ-
ლად მოვლენილი ბელადი „დონისტებისა“ ბ-ნი
მ. ქ. ყიფიანი.

„ვიცი სახუმარო საქმეს არ ჩაჰვდივარ, როდესაც
დონის მოსარჩელე გამოვძლივარ, მაგრამ რაკი მე მგონია,
რომ ს. ხუნდაძეა ჩემცდარი, როგორც მას ჰგონია ჩვენა
ვართ შემცდარი, უნდა ან თავი გავიტანოთ, ან მომჰკ-
ლას გულკეთილმა ახირებამა“.

მე დარწმუნებული ვარ ბევრი მკითხველი შე-
ხედავდა ექვის თვალით ჩვენ მიერ წამოყენებულ

„ან „დონი“ და ან სიკვდილი!“
ახლა საბუთი გეძლევათ ის ექვები თქვენთვის
შემოინახოთ, იქნებ სხვა დროისათვის დაეჭირდეთ
რამეთუ ზემორე ამონაწერი, რომელიც ამოღებუ-
ლია წიგნაკის მე-13 გვერდიდან ცხად ყოფს ჩე-
მოსაზრებასა, იმ განსხვავებით, რომ მე ვთქვი „ს-
კვდილი“ და დონისტი კი ამბობს „სიკვდილი“
გამსხვავება მხოლოდ ჰანის ხმარებაშია.

ბრძოლას ასე იწყებს ბ-ნი მ. ქ. ყიფიანი:
„დიდი ხანია დონს განაჰძიენ, მაგრამ „პრინციპი-
ლად“ მისი გამაჩანაგებელი ხმამაღლად მხოლოდ ჩემი
გობარი ს. ხუნდაძეა და ჩუმ-ჩუმად ბ-ნი თ. ჟორდანიაც“
ამიტომ დღეს დონის მომხრეობა ადვილი გასბედი აღ-
არის და დიდი საბუთიანობა გეჰჭირია“.

როგორც მკითხველი ხედავს, დონის მომხრ-
ობა ადვილი საქმე არა ყოფილა და უმთავრე
უბედურება კიდევ ის არის, რომ „საბუთებიც
ყოფილა საქირო.

«ნუ იტყვიოთ, ეს საქმე საქმედ არ ჩაიხთვლებოდეს
ჩვენ დარწმუნებული***) გახლავართ, რომ თანის „შემოკ-
ხებამ“ განვითარებითს ბრუნვაში, უფიცობის ბეჭედი და-
ვა***) მარხლ წერას“.

მართლაც ძნელია, როცა ვინმე სხვის საქმეში
ან სხვის ალაგას, ეკვებება“ აგრეთვე ძნელია, რ-
ცა „მკვლევარი“ ისეთ მეტონიეჰრებაში ჩაეკვებებ-
რომლისაც ბევრი არაფერი გაეგება, რამეთუ ასე
მკვლევარი ყოველთვის თავის დაჰსაკლავ დანას გ-
მოჰქექს ხოლმე

თანის „ჩამოჰკვებებამ“ დონი მართლა დი-
განსაცდელში ჩააგდო, თურმე და თუ არ ერ-
უტაბედი შემთხვევა, შემთხვევა დამოკიდებული მ-
ზისა, თუ პოეტის აღმაფრენაზე. დონის საქმე
სული იქნებოდა. ამ ამბავს ასე აგვიწერს ბ-ნი
მ. ქ. ყიფიანი:

„პოტი გ. ვოლსკი რომ არ მოჰხველებოდა თავი
ლექსით: «შენ გეტრფი მარადით» საცოდავ დონსა, განაჰ-
ბოდა დონი და მასთან ერთად განვითარებითი ბრუნვაც“

გ. ვოლსკის აზრათაც არ მოსვლია, რომ „შ-
გეტრფი მარადისის“ დაწერით ასეთი დაუფასებელ
ღვაწლი დასდო „დონისტების“ პარტიას, რ-
მხოლოდ მან გადაარჩინა აუცილებელ სიკვდი-
ლ-დონი და განვითარებითი ბრუნვა.

იხტორიკოსი.

*) საზოგადოთ ბ-ნი თ. ჟორდანის არ უყვარს ხმ-
ბობა და მოქმედებაში საჩუმათო მიმართულებას ამჯობინე-
ნუ თუ ეს საქრახისია!

ეშმაკი.

**) ნეტარ არიან მორწმუნენი.

ეშმაკი.

***) ოჰ, ჰანებო! რას შიგან ხართ,
რას გ აწუხებთ, რა ხნე გჭირსა,
უთქვ ნოთ რომ ყიფიანი
არ აღადგებს ბაგე-პირსა!

პროკინცია.

დ. ხაშური. ძმაო ეშმაკო, თუ შენი ტარტარო-
უზი გწამს, ერთი ამოიარე ხაშურისაკენ... უპირველესად
ყოველისა ინახულე „ბაგაქნი“ კონდუქტორი
კვლადიმერ ორჯონიკიძე და ჰკითხე: ვინ მოგცა
ვატბატონს ასეთი უფლებები-თქო!.. და თუ და-
ბლიან მაგარი შუბლის პატრონი გამოდგეს, მაშინ
შენი კურთხეული მათრახი მოიშველიე, იქნებ ამ
საშუალებით მაინც შესძლო მისი სინდისის ვალ-
ვიძება. დამერწმუნე მთელი ხაშურის საზოგადოება
დაგიმადლებს.

ამასთანავე სათითაოთ ინახულე: მ. ყიფიანი,
სილ. იოსელიანი, არსენ ომიადე, მიხა ლაბაძე,
პელო ლაბაძისა და ჰკითხე: რა ჩაგიდენიათ?! და-
ჩაგრულს უნდა დახმარება, თუ დამჩაგვრელსა-
თქო? ამ კითხვაზე თუ სირცხვილით არ გაწითლ-
დენ, — ისევე შენი მათრახით შეაწითლე.

იაკინთე აბრამიძე.

იჩილანვე. აქაურ ყასბებს კარგა ხანია, მუშ-
ტრები სინდის დაკარგულებს უწოდებენ. ამაზე
ამ დღეებში ყასბებმა ფიცით მტკიცება დაიწყეს:
ღმერთი, რჯული, ჩვენ სინდისი არ დაგვკარგვიაო!..
დაინიშნა კომისია, რომელიც პირველათ იმ აზრზე
იღგა: იქნება ყასბებმა სინდისი „დოვესკას“ გა-
დააყოღესო... მაგრამ არც ასე გამბრდგა. კომისიამ
ყასბები ვაამართლა: ამათ არც სინდისი დაუკარ-
გავთ და არც ნამუსიო (ე. ი. ვისაც არა აქვს-რა,
არც დაეკარგებაო)!!.

სიკოია.

ბ. მიხაილოვი. აქაურმა რკ. გზის დებოს
უფროსმა თუ ასე განაგრძო მოსამსახურეების დათ-
გონა და გადარეკ-გადმორეკა, სულ ცოტა ხნის
შემდეგ დებოში მართო თვითონ დარჩება და შემ-
დეგ ვილას თავზე იუფროსებს ასეთი უფროსობის
მოყვარული ადამიანი, ჯერ ამაზე არ დაფიქრებუ-
ლა...

Soso.

დ. ხაშურელია თუ ბოროტ ენებს დავუჯე-
რებთ, ადვილი გასაგები იქნება სამტრედიელთა
მწუხარება. ისინი, ე ი ბოროტი ენები დაჟინებით
ავრცელებენ ხმებს ადგილობრივი ფოსტის უფრო-
სის გადაყვანის შესახებ. მთელი დაბა, განურჩევ-
ლად ეროვნებისა, ფეროვნებისა, ჯეროვნებისა და
წვეროვნებისა ჯერ ჯერობითვე სტირის ამ სამწუხა-
რო ამბისა გამო და ხმები რომ მართლაც გამარ-
თლდეს, მაშინ ნახეთ რა ცოდვის დღე აგვიდულ-
დება. მართო ის რათა ღირს, რომ მთელ დაბას
„კინტოურის“ მოთამაშე ადარ ეყოლებას მოდი და
ხუ...

სოფ. ჯაგანი. „ღმერთი თუ გწყალობს, ეშ-
მაკები რას დაგაკლებენო“ ამბობს, მგონია, ინდო
ამერიკული ანდაზა და ეს რომ მართალია ცხადათ
სჩანს მამა სამსონის ცხოვრებიდან. რამდენი ხანია
ელის სოფელი „მისგან“ ხსნას და ვერ ეღირსა.
ახლა თქვენ გამოიცანით, ღმერთი ვისა სწყალობს:
სოფელს, თუ მამა სამსონს?

ბ. კულაში. ადგილობრივ „კენინათ“ ა ერთ
ჯგუფს გნაზრახვა აქვს ახლო მომავალში საერო
კრება გამართოს ეგრეთ წოდებულ „ჯვარცმას“.
საგანს კრებისას მხოლოდ და მხოლოდ ქალთა სა-
კითხი შეადგენს. დაწვრილებით შემდეგ.

„ისევე“.

ფოსტა.

ბათუმი. ზღვისპირაღეს. „ქურდი მთხლეზე
დაიჭირესო“ რო იტყვიან, სწორეთ თქვენზე ითქმის.

„არვინ მინახავს გამწარებული,
როგორც მე დღეს ვარ დაგლახე ული,
გულზე დანა მაქვს მე დასობილი,
თავში ქუჩა მაქვს გალაცხებული,
უცნებოთა ვარ გაჩერებული
ბათუმის ქალაქს ვარ ჩამოსული.
მე არა მესმის მათი რუსული
ვერ გავარჩიე იმათი ქალი“.

ნუ თუ გეგონათ, რომ თქვენს მეტი ვერავინ
იცნობდა დღევანდელს ჩვენს მწერლობას? შემცდა-
რი ბრძანდებით ბ-ნო ზღვისპირელიო! ეშმაკა გვით-
ხრა, რომ ეს ლექსი თქვენ მოგიპარავთ ბ-ნი ჯაყე-
ლის პოემიდან. („ლექსი ცხოვრებიდან“ გვ. 13).
თქვე კაი კაცო, თუ კი იპარავდით ბარემ რუსუ-
ლიდან მოგებარათ კარგი რამ, როგორც ვ. გუნია
და ი. ევლოშვილი შვებიან ხოლმე.

ხონი. ბუღბუღს. თქვენი ფსევდონიმი სწო-
რეთ რომ პოეტის შესაფერია, მაგრამ ლექსები კი...

„დილის ყვავილი
თავს აკანტურებს.
ცრემლისა წყალებს
ბევრსა ასხურებს...
მასთან ბინა აქვს
მგლებსა და ტურებს,
მზე კი მალლიდან
ყველას ახურებს“.

აღმათ მზემ ცოტა თქვენც შეგახურათ, თო-
რემ წინააღმდეგ შემთხვევაში მუზა ამ ზომ არ ადგი-
ფრთოვანდებოდათ. დღეის შემდეგ ჩრდილოში სწე-
რეთ ხოლმე და რაც დასწეროთ ბ-ნ იოსებ იმედა-
შვილს გაუგზავნეთ „თეატრისა და ცხოვრების“
რედაქციის საგარძელში მჯდომარეს.


„მათრახ სალამურის“ რედაქცია სთხოვს ხელის
მომწერლებს, რომ ფული გამოგზავნონ ვასო ბოლ-
ქვაძის სახელზე. ვისაც რედაქციის სახელზე აქვს
ამოთხაინილი უნდა შესთხოვოს.




თფილისი, ვოლოკინის კროსი. № 6, ტელეფონი № 481.

სილულის საგადასახადო ფაქტორი

გ. ლალიძის და აგზ.



3 გაკვეთილი: შვიდი იარაღი. მოხმარება.



4 გაკვეთილი: კენჭობა

